გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №47
2024 წლის 1 მაისი

ქ. გურჯაანი

„საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 06 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 22-ე მუხლების შესაბამისად,გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილი იქნას „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 06 ივნისის №13 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: „www.matsne.gov.ge“, 07/06/2023, 330010040.35.166.016566) შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის „საქართველოს კანონით „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყლიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე–35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების და საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 209^3 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების (გარდა 46^5, 46^6, 172^8 და 172^9 მუხლებით და 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისა) განხილვისა და საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში – ზედამხედველობის სამსახური) უფროსი და იმავე სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების საჯარო მოხელეები.

2. საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე–35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლებზედაც ოქმის შედგენის უფლებამოსილება საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 239-ე მუხლით მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტს, აგრეთვე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე (როდესაც ადგილზე არ შედგება საჯარიმო ქვითარი) უფლებამოსილნი არიან გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების საჯარო მოხელეები, გარდა საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 43^1, 43^2, 46^5, 46^6, 172^8, 172^9 მუხლებით და 130-ე მუხლის მე-4

ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისა.“.

2. **დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის „საქართველოს კანონით „ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:**

„5. საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილია მუნიციპალური ა(ა)იპ „გურჯაანის სატრანსპორტო სამსახური.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვანო ბერიძიშვილი**